თითოეულმა ის მიიღო, რაც დაიმსახურა

მინსკი. ცენტრალური სტადიონი. 20 ივლისი, 12 ათასი მაყურებელი.

“დინამო” (მინსკი) – “დინამო” (თბილისი) 1:1.

მინსკი: ჟეკიუ, ბოროვსკი, კურნენინი, იანუშევსკი, შიშკინი, ზიგმანტოვიჩი, გოცმანოვი, მელნიკოვი, ალეინიკოვი, სოკოლი, შალიმო.

თბილისი: ბალაძე, მიქაბერიძე, ჩივაძე, უკლება, ბარათაშვილი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ჟვანია, გოგრიჭიანი.

52–ე წთ. შალიმო, 57–ე წთ. სულაქველიძე.

ჟვანიას ნაცვლად – მახარაძე, გოცმანოვის ნაცვლად – ვასილევსკი, გოგრიჭიანის ნაცვლად – შენგელია.

მსაჯი: ა. მუშკოვეცი (მოსკოვი).

დუბლიორები – 3:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ჟორდანიამ.

მეტოქეთა მინდვრებზე თბილისელთა მიერ გამართული მატჩების მიხედვით ამ შეხვედრის შედეგის წინასწარ გამოცნობა თითქოსდა ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში გამარჯვებას ვარაუდობდნენ მასპინძლები – მინსკელი ფეხბურთელებიცა და სტადიონზე მოსული მაყურებლებიც. პროგნოზები, როგორც საერთოდ ხშირად ხდება სპორტში, არ გამართლდა და ამაში უშუალო ბრალი სტუმრებს მიუძღვით. რა თქმა უნდა, როცა ამას ვამბობთ, მხოლოდ შედეგს არ ვგულისხმობთ – მატჩის შემდეგ თითოეულმა მეტოქემ მიიღო ის, რაც ნამდვილად დაიმსახურა მინდორზე.

პირველი ტაიმი მასპინძელთა მცირე ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. საგოლე მომენტები ხშირი არ ყოფილა – ერთთავად იგრძნობოდა, რომ მცველები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ ამ მატჩში. ვითარება არც შესვენების შემდეგ შეცვლილა – მინდორზე თითქმის ყველა კომპონენტში თანაბარი გუნდები იბრძოდნენ. თავდამსხმელებმა ვერც ამ მეორე ორმოცდახუთ წუთში გამოიჩინეს თავი – თუმცა თითო გოლი მაინც გავიდა, როგორც ერთ, ისე მეორე კარში.; 52–ე წუთზე შალიმომ დააწინაურა თავისიანები, 5 წუთის შემდეგ კი საჯარიმო დარტყმა კარგად გამოიყენეს თბილისელებმა – გუცაევის გადაცემის შემდეგ სულაქველიძემ კარგა შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

და, ბოლოს, მინსკის მატჩის შთაბეჭდილება ისეთია, რომ თბილისის “დინამომ” ამ სახელოვანი ტრადიციების გუნდმა კარგად გამოიყენა საკავშირო ჩემპიონატის ზაფხულის ტაიმ–აუტი და თავის გულშემატკივრებს იმის იმედიც ჩაუსახა, რომ ყველაფერს ნელნელა, მაგრამ აუცილებლად მოევლება.

ალექსანდრ ბორისოვიჩი (ტელეფონით, მინსკი).

“ლელო”, 22 ივლისი, 1984 წ.